ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ო ქ მ ი №4

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისა

7 თებერვალი

2022 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ოქმი N 4

ქ. სამტრედია. 07 თებერვალი, 2022 წელი.

2022 წლის 7 თებერვალს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე(ონლაინ ჩართვა), პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე(ონლაინ ჩართვა), ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე , მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი(ონლაინ ჩართვა), გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), აკაკი მინაშვილი, ემზარ შუბლაძე, ქეთევან კუტალაძე, ავთანდილ თადუმაძე, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე;
2. სამტრადიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე;
3. სამტრადიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-სამსახურის ბუღალტერი,-მარინა ანდღულაძე;
4. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს ჟურნალისტი, თეა ბაბუნაშვილი;

3. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე;

ადგილობრივი ტელევიზიის, ,,ტელეკომპანია-ზარი''-ს,წარმომადგენლები;

გრიგოლ დარჯანია- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი, ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში.

სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთვნენ, საკრებულოს წევრები: გოჩა არველაძე, ჯონი თევზაძე, დავით ნიკოლეიშვილი, ლელა ჩორგოლაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებისა და რეკომენდაციის შემუშავების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწერის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ახალსოფელში მდებარე ბორანის (ხაზობრივი ნაგებობის), საკადასტრო კოდი №32.00.230, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

3. ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე, №1 შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის, ,,განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი-212907522) გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში მდებარე, 2430.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული, №1 შენობა-ნაგებობის,

(მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.241) - ნაბაკევის საბავშვო ბაღის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი– 238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-
სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

7. ფრაქცია ,,განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის" რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

8. სხვადასხვა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაფიქსირდა: კენჭისყრის შედეგად, (33 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის შესრულებას და შესრულების ანალიზს, თანდართული ფორმების მიხედვით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, თანხით 14203,0 ათასი ლარის ოდენობით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტის ოდენობა განისაზღვრა 190,0 ათასი ლარით, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 14013,0 ათასი ლარით, მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლები -11846,3 ათასი ლარი.

სხვა შემოსულობები -2076,7 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა - 90,0 ათასი ლარი.

თორმეტ თვეში ბიუჯეტის მიმართ ცხრაჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 25848,0 ათასი ლარის ოდენობით.

საგადასახადო შემოსავლები - 12704,9 ათასი ლარი.
სხვა შემოსულობები -2098,7 ათასი ლარი.
არაფინანსური აქტივების ზრდა - 184,1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 7376,5 ათასი ლარით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დეკემბრის თვის შემოსავალმა შეადგინა 22912,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 102,5 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 12965,7 ათასი ლარი, რაც დეკემბრის თვის გეგმის 102,1 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დღგ-ს საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 10533,6 ათასი ლარი გეგმა შესრულდა-103,2 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 1192,9 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 131,4 %-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი მიღებულია - 1239,2 ათ.ლარი გეგმა-1592,0 ათ. ლარი შესრულება - 77,8%-ი.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან თორმეტ თვეში მიღებულია 2243,3 ათასი ლარი, გეგმა 2098,7 ათასი ლარი, შესრულება (106,9 %) კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან - 80,9 ათასი ლარი, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია - 336,3 ათასი ლარი, დაბუფთავების მოსაკრებელი - 142,6 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 1156,0 ათასი ლარი, ბანკიდან მიღებული დეპოზიტი - 386,0 ათასი ლარი და სხვა შემოსავლები - 261,5 ათასი ლარი.

შემოსავალი არაფინანსური აქტივიდან ფაქტიურად შემოვიდა - 383,0 ათასი ლარი.

ხოლო, რაც შეეხება 2021 წლის წლიური შემოსულობების შესრულების შედარებას 2020 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტთან (22115,0 ათასი ლარი), შემოსულია 797,3 ათასი ლარით მეტი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 22366,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 86,5 %-ია (თორმეტი თვის გეგმა - 25848.0 ათასი ლარი).

აზრი გამოთქვა:

- საკრებულოს წევრმა ემზარ შუბლაძემ მოითხოვა დაზუსტებული ინფორმაცია მიეწოდებინათ მისთვის თუ რამდენი პროცენტით შესრულდა ბიუჯეტის გეგმა, შემოსავლები, ხარჯვითი ნაწილი და შეუსრულებელი ვალდებულება რამდენი იყო და როგორ გადანაწილდა 2 მილიონ 700 ათასი ლარი.

მერიის საფინანსო-სამსახურის ბუღალტერმა, მარინა ანდღულაძემ, განუმარტა, რომ ბიუჯეტის განხილვისას, „“შემცირდა - გაიზარდა“ ნაწილში ყოველთვის ასახულია შესაბამისი ინფორმაცია. თორმეტ თვეში ბიუჯეტის მიმართ ცხრაჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 25848,0 ათასი ლარის ოდენობით. საგადასახადო შემოსავლები - 12704,9 ათასი ლარით. სხვა შემოსულობები -2098,7 ათასი ლარით.
არაფინანსური აქტივების ზრდა - 184,1 ათასი ლარით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 7376,5 ათასი ლარით .
2021 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 22366,3 ათასი ლარი.

ემზარ შუბლაძე - ყოველ წელს ძნელია გარკვევა ბიუჯეტში ნაშთი რა არის, მორჩენილი თანხა რა არის თუ, მიმდინარე სამუშაოების თანხაა და გადადის 2022 წელში. როგორ ხდება ამ თანხების გადანაწილება?

აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი სამსახურის ბუღალტერმა უპასუხა, რომ ეს თანხები არ გადადის 2022 წელში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ვალერიანე ფოცხვერიამ, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენლებს უთხრა, რომ დაინტერესებული პირისთვის დეტალურად გაეცათ პასუხი მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

- ჟუჟა მიმიგური - ქ. სამტრედიაში, ე.წ. „ზდანიები“-ს ბინების გადახურვა იყო დაგეგმილი. რატომ არ შესრულდა აღნიშნული სამუშაოები უნდა ვიცოდეთ საკრებულოს წევრებმა, ეს არ არის ჩვეულებრივი თემა, რადგანაც ძალიან ზარალდება მოსახლეობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა, დავით ჯანელიძემ, აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელ კომპანიას და ყველაფერი ისე გაკეთდება რომ მოსახლეობა არ დაზარალდება.

საკრებულოს წევრმა, ავთანდილ თადუმაძემ, წყლის სისტემების რეაბილიტაციის შესახებ მოითხოვა ინფორმაცია, რაზედაც ვალერიანე ფოცხვერიამ უპასუხა, რომ წარმოდგენილი პროექტი სრულყოფილი არ იყო, ეს იყო ნაწილობრივი პროექტი და ნაწილობრივ გამოიცვლა მაგისტრალი, იქ არის გასაგრძელებელი სამუშაოები, საჭიროა წერტილოვანი სამუშაოების ჩატარება და საჭიროა რამოდენიმე მილიონი ამ პროექტის განსახორციელებლად. მიმდინარეობს დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკება.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

საკრებულოს 9 წევრმა არ მიიღეს კენჭისყრაში მონაწილეობა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებისა და რეკომენდაციის შემუშავების შესახებ.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწერის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ახალსოფელში მდებარე ბორანის (ხაზობრივი ნაგებობის), საკადასტრო კოდი №32.00.230, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''–სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''–ს, (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწერის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ახალსოფელში მდებარე ბორანი (ხაზობრივი ნაგებობა), საკადასტრო კოდი №32.00.230.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწერის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ახალსოფელში მდებარე ბორანის (ხაზობრივი ნაგებობის), თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი.

აზრი გამოთქვა:

ემზარ შუბლაძე-2016 წელს უნდა შეძენილიყო ბორანი და რატომ არ განხორციელდა 2022 წლამდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით ვალერიანე ფოცხვერიამ უპასუხა, რომ ბორანის დაპროექტება არის ძალიან რთული საკითხი, რამდენჯერმე ჩასწორდა პროექტირება, არ მიიღო ტენდერში მონაწილეობა არცერთმა კომპანიამ, პროცედურულად იყო რთული, რამაც გამოიწვია შეფერხება.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 32-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (32 ხმით, წინააღმდეგი-ემზარ შუბლაძე) დამტკიცდა განკარგულება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწერის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ახალსოფელში მდებარე ბორანის (ხაზობრივი ნაგებობის), საკადასტრო კოდი №32.00.230, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, რომელიც ეხება, ,,ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე, №1 შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის, ,,განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი"-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი-212907522) გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, „განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი"-ს, (საიდენტიფიკაციო კოდი-212907522) პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე, №1 შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ ფართი.

გადაცემული უძრავი ქონების სარგებლობის ვადად განისაზღვროს 02 (ორი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე, №1 შენობა-ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის, ,,განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი"-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი-212907522) გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე".

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში მდებარე, 2430.00 კვ.მ არასასოფლო– სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.241) - ნაბაკევის საბავშვო ბაღის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი– 238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად . მიეცეს თანხმობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-ს, (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში მდებარე, 2430.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.241) - ნაბაკევის საბავშვო ბაღი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში მდებარე, 2430.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.241) - ნაბაკევის საბავშვო ბაღის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში მდებარე, 2430.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული, №1 შენობა-ნაგებობის, (მიწის (უძრავი ნივთების) საკადასტრო კოდი №34.03.53.241) - ნაბაკევის საბავშვო ბაღის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის საკითხს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყოველი წლის დასაწყისში საკრებულო ამტკიცებს მიწის ნორმატიულ ფასს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალაქ სამტრედიის ტერიტორია დაყოფილია სამ ზონად:

ა) ცენტრალური (დანართი №1 მიხედვით);

ბ) შუალედური (დანართი №2 მიხედვით);

გ) პერიფერიული (დანართი №3 მიხედვით).

განისაზღვროს ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასები შემდეგი ოდენობით:

ა) ცენტრალური ზონა - 1 m^2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 10 ლარი (0.58 X 1.3 X 0.24 X 55);

ბ) შუალედური ზონა - 1 m^2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 4 ლარი (0.58 X 1.0 X 0.24 X 29);

გ) პერიფერიული ზონა - 1 m^2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 3 ლარი (0.58 X 0.8 X 0.24 X 30).

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტში შემავალი დაბის ტერიტორიაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს, ქალაქის ტერიტორიის შუალედური ზონის 75%-ის

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (33 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის N№-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: გივი ულუსაყიძის, დავით ნიკოლეიშვილისა და კობა ძიძიგურის განცხადება. განმცხადებლები, ითხოვენ ფრაქცია ,,განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის'' რეგისტრაციას. (განცხადების საკრებულოში რეგისტრაციის **N:19/63220312-63** 31/01/2022 წ.)

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2022 წლის 31 იანვარს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ამავე საკრებულოს წევრების , გივი ულუსაყიძის, დავით ნიკოლეიშვილის და კობა ძიძიგურის განცხადება (N **19/63220312-63**). განმცხადებლები ითხოვენ, ფრაქცია „განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის", რეგისტრაციას. აღნიშნულ განცხადებას თან ერთვის ფრაქციის სხდომის ოქმი, წესდება და დავით ნიკოლეიშვილის განცხადება, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს რიგების დატოვების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, შეიძლება გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში. ამავე კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები.

როგორც თქვენთვის ცნობილია, დავით ნიკოლეიშვილი 2021 წლის 2 ოქტომბრის, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე იყო პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს პარტიული სიის მე-2 ნომერი და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული იქნა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს წარდგენით. ამასთანავე, 2021 წლის 3 დეკემბრის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს წარდგენით არჩეულ საკრებულოს წევრებს, რეგისტრირებული აქვთ ფრაქცია „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა".

გამომდინარე იქედან, რომ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას"-ს წევრების მიერ, დღეს მდგომარეობით შექმნილია ფრაქცია, დავით ნიკოლეიშვილი, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია ამავე პარტიის წარდგენით, საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''- ს 30-ე მუხლის მე-2

პუნქტიდან გამომდინარე, დაუშვებელია გაწევრიანდეს სხვა ფრაქციაში ან შექმნას სხვა ფრაქცია. ამასთანავე, ფრაქციის შექმნის სურვილი აქვს გამოთქმული საკრებულოს მხოლოდ 3 წევრს, რომელთაგან ერთ-ერთს, დავით ნიკოლეიშვილს, არა აქვს უფლება გაწევრიანდეს ფრაქცია „განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის". ზემოაღნიშნული განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად, ასევე წინააღმდეგობაშია საქართველოს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 30-ე მუხლის მე-4 პუნქტთან.

კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გივი ჯულაყიძის (პარტია ,,ლელო''), დავით ნიკოლეიშვილის (პარტია ,,ერთიანი ნაციონაური მოძრაობა'') და კობა ძიძიგურის (პარტია ,,საქართველოსთვის'') განცხადება არ შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი''- ს 30-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებს. შესაბამისად, განმცხადებლებს უარი ეთქვათ ფრაქციის ,,განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის'', რეგისტრაციის თაობაზე. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა:

კობა ძიძიგური - ქალბატონმა მანანამ ისაუბრა კანონიდან გამომდინარე, მაგრამ მინდა აღნიშნო, რომ იქ არის კიდევ ერთი პუნქტი, სადაც წევრებს აქვს უფლება შექმნან არაპარტიული კუთხითაც ფრაქცია და ბატონი დავით ნიკოლეიშვილი, რომელმაც დატოვა პარტია, ამჟამად არის დამოუკიდებელი წევრი და მას აქვს უფლება გაწევრიანდეს ფრაქციაში. სამტრედიის განვითარებისთვის, მის საკეთილდღეოდ უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება, ვფიქრობ, რომ არ უნდა იყოს საკრებულო წინააღმდეგი ამ ფრაქციის შექმნისა, მით უმეტეს კანონი იძლევა განსაზღვრებას რომ არაპარტიული ფრაქცია შესაძლებელია შეიქმნას.

მანანა სირბილაძე -აქ არ არის არანაირი პოლიტიკური ინტერესი, კანონის მიხედვით განცხადება არ შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''- ს 30-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებს.

გივი ჯულყაიძე - მივმართავთ სასამართლოს, ვიდავოთ სასამართლოში. სხვა მუნიციპალიტეტებში ფრაქციები შეიქმნა წინააღმდეგობების გარეშე.

ტარიელ ცომაია- კანონმდებლებთან გავაგზავნოთ შესაბამისი მიმართვა.

ზაზა ადეიშვილი - მივესალმებოდი რომ კანონის დაცვით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილიყო მესამე ფრაქცია.

ხმისყრაში მონაწილეობა მიიღო 33-მა წევრმა.

[illegible]: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, [illegible] თევზაძე, ბექა თევზაძე, ჯონი ახობაძე , მაია ტალაბაძე, ლელა ჩორგოლაშვილი, [illegible] ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა.

წინააღმდეგი: გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი , აკაკი მინაშვილი, ემზარ ბუჩლაძე, ქეთევან კუტალაძე, ავთანდილ თადუმაძე, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

თავი შეიკავა: ლიზა კრავეიშვილი, ბადრი შენგელია, ზაზა ადეიშვილი .

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, ფრაქცია „განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის'' რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე : ნუგზარ ჯამბურია

სხდომის მდივანი: ირმა გოგია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 4

შედგება "24" / ოცდოთხი /
ფურცლისაგან

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნუგზარ ჯამბურია

2022 წელი